ხაშურის მოამბე

№15 (196) 15 აპრილი, ორშაბათი, 2019 წელი

შიდა ქართლში 72 მილიონი ლარის ღირებულების 600-ზე მეტი პროექტი განხორციელდება

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა 2018 წლის საქმიანობა შეაჯამა და 2019 წელს, რეგიონში დაგეგმილ პროექტებზე ვრცლად ისაუბრა. რწმუნებულის შუალედურ ანგარიშსა და მიმდინარე წელს დაგეგმილი პროექტების პრეზენტაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი - ლევან დავითაშვილი, სახელმწიფო მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში - ქეთევან ციხელაშვილი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონულ საკითხებში - სოზარ სუბარი, პარლამენტის დეპუტატები, სასულიერო პირები, სამინისტროების, სააგენტოების, დიპლომატიური კორპუსის, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

როგორც გიორგი ხოჯევანიშვილმა განმარტა, გასულ წელთან შედარებით, 2019 წელს, შიდა ქართლში დაგეგმილი პროექტების განხორციელებაზე 38 მილიონი ლარით მეტი დაიხარჯება. კერძოდ, 72 მილიონ ლარზე მეტი 617 პროექტზე გადანაწილდება, რომელიც მოიცავს როგორც ინფრასტრუქტურულ, ისე დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლების ხელშეწყობის, რეგიონში საგანმანათლებლო, სამედიცინო, სპორტული და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებებს. ასევე, პროექტების განხორციელება გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის დარგისა და ადგილობრივი წარმოების კიდევ უფრო მეტად განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა გარემოს დაცვის კუთხით განსახორციელებელ ღონისძიებებსაც.

მასშტაბური პროექტი განხორციელდება ინტერმუნიციპალური ცხოველთა მულტიფუნქციური თავშესაფრის მშენებლობისთვის, რომელიც აღჭურვილი იქნება ვეტერინალური კლინიკით, ლაბორატორიით და ვოლიერებით.

ინტერმუნიციპალური იქნება ის ტექნო-პარკიც, რომელიც კასპში შენდება. პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია ორსართულიანი შენობის მშენებლობა, სადაც განთავსებული იქნება სამუშაო და სასწავლო ოთახები, ე.წ. ფაბ-ლაბი, საკონფერენციო დარბაზი, დამხმარე სათავსოები და სამუშაო სივრცე. ასევე, იგეგმება ღია ტერასის მოწყობა სხვადასხვა აქტივობისთვის, ტერიტორიის კეთილმოწყობა, საპარკინგე ადგილის გამოყოფა და გამწვანება.

მიმდინარე წელსვე, დაგეგმილია გამყოფი ხაზის მიმდებარე 11 სოფელთან მისასვლელი გზის დაგება და 21 სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობა. ასევე, აშენდება და რეაბილიტაცია ჩაუტარდება სკოლებს, საბავშვო ბაღებსა და სპორტულ მოედნებს. დევნილთა კომპაქტურ ჩასახლებებში მოეწყობა შიდა საუბნო გზებიც.

2019 წელს, სარწყავი წყლის პრობლემა, დამატებით, 22 სოფელში მოგვარდება. კერძოდ, მდინარე თეძამზე აშენდება კაშხალი, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზეც ტურისტულ-რეკრეაციული ზონა მოეწყობა. ამასთანავე, კაშხალზე წარმოშობილი სარწყავი წყლის მარაგით ასობით ოჯახი ისარგებლებს.

აქტიურ ფაზაშია შესული რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია-კონსერვაციის სამუშაოების პროცესი. ამ დროისათვის, სამუშაოები 6 მუზეუმში უკვე წარმოებს. ინტენსიურად მიმდინარეობს გორის ციხის რეაბილიტაციაც, პარალელურად, დაგეგმილია სურამის ციხეზე არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება და შემდგომი კონსერვაცია.

წელსვე, გაიხსნება გორის მულტიფუნქციური სპორტის სასახლე, გორში აშენდება ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო მოედანი და ხაშურში - საერთაშორისო დონის საფეხბურთო სტადიონი.

„თითოეული პროექტი, რომელიც მიმდინარე წელს განხორციელდება, დაგეგმილია მოსახლეობასთან უშუალო კომუნიკაციით, მათი მოთხოვნების და საჭიროებების მაქსიმალური გათვალისწინებით. რეგიონის სოფლების უმეტესობა პირადად მოვიარე, შევხვდი მოსახლეობას და მათი დაკვეთა, შეძლებისდაგვარად, ავსახეთ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, თითოეული თეთრი დაიხარჯოს მიზნობრივად და მოხმარდეს რეგიონის განვითარებას. ჩვენი მიზანია, სამუშაოები შესრულდეს ხარისხიანად და

ამ პროექტების განხორციელებით მიღებული შედეგი თითოეული მოსახლის ყოველდღიურ ცხოვრებაზე აისახოს“ - აღნიშნა შიდა ქართლის რწმუნებულმა, გიორგი ხოჯევანიშვილმა.

9 აპრილის მოვლენებიდან 30 წელი გავიდა

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ დასაბამი მისცა საქართველოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს, სწორედ ამიტომ, ეს დღე არამხოლოდ გლოვის დღეა, არამედ მადლიერების დღეც-აღნიშნეს ხაშურში, 9 აპრილის მემორიალთან შეკრებილმა საზოგადოების წევრებმა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ, მიხეილ ჯანაშვილმა, ტრაგიკულად დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

აღევლინა 9 აპრილს გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებელი პარაკლისი.

ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების მონაწილეობით, გაიმართა მცირე კონცერტი.

მოსახლეობასთან ერთად, ღონისძიებაში აქტიურად იყვნენ ჩართულები მუნიციპალიტეტისა და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები. ახალგაზრდებმა კი სიმბოლური ,წითელი ტიტებით პატივი მიაგეს გმირ თანატოლთა სულებს.

კამპანიის „მადლობა თავისუფლებისთვის“ ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ურთულეს გზაზე და 9 აპრილის მოვლენებზე დეტალურად იმსჯელეს. გაიმართა 9 აპრილისადმი მიძღვნილი ფოტო-გამოფენაც.

ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახური, ა(ა)იპ კულტურის ცენტრების გაერთიანება და ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2019 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობის ანგარიში

ამ დღეებში, მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხების, აგრეთვე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიებმა მოისმინეს მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე განხორციელებული სამუშაოების ანგარიში(2019 წლის პირველი კვარტალი), რომელსაც დღეს, საჯაროობის პრინციპებიდან გამომდინარე, ფართო აუდიტორიასაც ვათავაზობთ.

2019 წლის პირველ კვარტალში, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმისწარმოების წესით, სასამართლოში წარიმართა საქმეები, რომლებშიც ხაშურის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი იყო როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის სახით (მომზადებული იქნა სარჩელები და შესაგებლები). სამსახურის მიერ რიგი საქმეები გასაჩივრებული იქნა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში (მომზადებული იქნა სააპელაციო და საკასაციო საჩივრები). აგრეთვე სხვადასხვა სამართალდამცავ ორგანოების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე (4 საქმე) სამსახური ახორციელებს მერიის კანონიერი ინტერესების დაცვას.

საანგარიშო პერიოდში სასამართლო წარმოებაში იყო 25 საქმე, საიდანაც 14 ადმინისტრაციული, 11 სამოქალაქო სამართალწარმოების, ასევე 1 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და 3 ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის საქმე. 25 საქმიდან 5 დასრულდა, აქედან 3 სამოქალაქო და 2 ადმინისტრაციული საქმე,2 საქმე შევიდა კანონიერ ძალაში, 5 საქმიდან 2 მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ გადაწყდა,2 საქმე გაერთიანდა ერთ წარმოებად და დასრულდა მორიგებით, ხოლო 1 მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ დასრულდა. დღეისათვის, სასამართლოში მიმდინარეობს განხილვა 20 საქმეზე, 8 - სამოქალაქო წარმოების წესით, ხოლო 12 - ადმინისტრაციული წარმოების წესით, მათ შორის 10 საქმე - პირველ ინსტანციაში, 9 - სააპელაციო სასამართლოში, ხოლო 1 - უზენაეს სასამართლოში.

ამასთანავე, მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურმა სამართლებრივი დახმარება გაუწია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 1971 მუხლით (სამხედრო ვალდებულების მოხდისთვის თავის არიდების მიზნით სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამწვევ კომისიაში გამოუცხადებლობა) გათვალისწინებულ სამართალდამრღვევთა მიმართებაში. ასევე, მიმდინარე პერიოდში, ზედამხედველობის სამსახურის მიერ, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 43-ე (უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება) და 45-ე (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) მუხლების დარღვევების გამო 2 ფაქტზე მოხდა შესაბამისი რეაგირება (დაჯარიმება), სადაც იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაწეული იქნა შესაბამისი სამართლებრივი დახმარება.

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების პროცესში.

პარალელურ რეჟიმში, სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურის მიერ მომზადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, შემოსული კორესპონდენციის ვიზირება და პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი დასკვნების მომზადება. საანგარიშო პერიოდში იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ეკონომიკური განვითარების და საბიუჯეტო სამსახურებიდან შემოსული დოკუმენტაციის საფუძველზე გაცემულია 17 დასკვნა, რომელიც ძირითადად ეხებოდა მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებას, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის მიზანშეწონილობას და პირგასამტეხლოს შესაძლო დაკისრებას, საბანკო გარანტიას და ხელშეკრულების ცალკეული პუნქტების განმარტებას. აგრეთვე აუქციონის საკითხებს.

სამსახურის მიერ, მუდმივად ხდება მუნიციპალიტეტისათვის მომართულ მოქალაქეთათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა როგორც წერილობითი ფორმით, ასევე ზეპირად.

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური აგრეთვე უზრუნველყოფს წარმომადგენლობას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში.

სამსახური ჩართულია მერიაში შექმნილი კომისიების (დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში შექმნილ) და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, მათ შორის:

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია” ;
2. „მოქალაქეობის დადგენის მიზნით, პირის ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია“.;
3. “ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი“;
4. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, ა(ა)იპ “ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების” ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის სამუშაო ჯგუფი“;
5. „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია“;
6. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების შესაძლებლობის, მიზანშეწონილობისა და მოცულობის განმსაზღვრელი კომისია“;
7. ხაშურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია ;
8. ზედამხედველობის კომისია;
9. მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო;

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური მერიის ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად ჩართულია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2019 წლის 4 თებერვალს გამოცხადებული კონკურსის ორგანიზებაში. კონკურსი გამოცხადებულია მერიის საშტატო განრიგით განსაზღვრულ 4 პოზიციაზე, მათ შორის: პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის; ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის; ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის და მერის წარმომადგენელი სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის პოზიციებზე.

მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებების პარალელურად და სამსახურებრივი საქმიანობის სპეციფიკიდან და სტატისტიკიდან გამომდინარე, სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტებში, მერიის დებულებაში და მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - სამსახურების დებულებებში ცვლილებების შეტანას, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების შემუშავებას და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

დავით ღვალაძე,
იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის
ხელმძღვანელი

ხაშურის „ივერიის” სტადიონის მშენებლობა უახლოეს პერიოდში დაიწყება

ძველი სტადიონის კონსტრუქციის დემონტაჟის სამუშაოები თითქმის დასრულებულია, ამ ეტაპზე მიმდინარეობს დემონტაჟის შედეგად მიღებული სამშენებლო ნარჩენების გატანა.

სტადიონის დემონტაჟისა და დემონტაჟის შედეგად მიღებულ მეორად მასალებზე აუქციონი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა. გამოვლენილმა გამარჯვებულმა კომპანიამ მუნიციპალიტეტს 68 000 ლარი გადაუხადა.

„თანამედროვე სტანდარტებით მოწყობილი სტადიონი, ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში პროფესიული სპორტის განვითარებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას“-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა სამუშაოების დათვალიერებისას.

მერთან ერთად, „ივერიის“ სტადიონზე მიმდინარე პროცესებს ეცნობოდა მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი.

სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ტენდერი მუნიციპალური განვითარების ფონდმა გამოაცხადა.

შესყიდვის ღირებულება 6 183 407 ლარით განისაზღვრა.

პროექტი ხაშურის სტადიონის სრულ რეაბილიტაციას, მათ შორის მოედნის, ტრიბუნების, დამხმარე ნაგებობების, განათებისა და ელექტროტაბლოს, ღობეებისა და პარკინგის მოწყობას და ტერიტორიის გამწვანებასაც ითვალისწინებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5, 6, 7, 9, 11,12,14)

საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მკლევარი გ. ბედოშვილი **ჩხერ** სიტყვასთან დაკავშირებით. მიუთითებს, რომ **ჩხერ** სიტყვა გვხვდება სახვადასხვა სახელწოდებებში: **ჩხერიმელა, ჩხერის ციხე, საჩხერე, ჩხერი** (მდ. ყაზბეგის რ-ში), **ჩხერიპირი** (იქვე).

ჩხერ - მეგრული სიტყვა. დაჩხერვა მეგრულათ „ღომის დაცეხვას“ ნიშნავს.

სიტყვა **ჩხერ**-ი ქართული ენის დილექტებში სხვადასხვა მნიშვნელობით არის დადასტურებული. **ჩხერ**- სიტყვის ორი მნიშვნელობა თვით ზემოიმერულ კილოს შემოუნახავს. ერთია „**ჩანჩქერი**“, „**წყალვარდნილი**“, „**ჩქერი**“, ხოლო მეორეა „თევზის დასაჭერი მახე“,,ფაცერი“. ეს უკანასკნელი მნიშვნელობა დღესაც ცოცხლად არის დაცული ზემოიმერულ დიალექტში: „ჩვენ ხვადაბუნში, სადაც დავაკდებოდა ყვირილა, წინეთ უგებდენ **ჩხერს** და ამიტომ დაერქვა იმ ადგილეფს საჩხერე“. **ჩხერ** - სიტყვისა და ჩანჩქერის იგივეობა კარგად ჩანს ვახუშტისეულ ინფორმაციაში, რომელსაც იგი ზემო იმერეთის აღწერისას გვაწვდის: „მლაშეს ზეით არს ჩხერის ციხე. ამ ციხისაგან ისახელა მდინარე ესე **ჩხერიმელად** ანუ წყლის **ჩხერისაგან** კლდესა ზედა დინებითა...“

ჩხერის ეს უკანასკნელი მნიშვნელობა („ჩანჩქერი“) უნდა იყოს ჩადებული ხევში (ყაზბეგის რ.) არსებული მდინარის სახელში **ჩხერი** (მდ. თერგის მარცხ. შენაკადი). აქვეა მისგან წარმოქმნილი მიკროტოპონიმი **ჩხერიპირა**.

გ. ბედოშვილი ტოპონიმ საჩხერესთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ იგი ორი თანაბრად მოსალოდნელი და თანაბრადღირებული სიტყვისგან წარმომდგარა: 1. „ჩხერებით (ჩანჩქერებით) მდიდარი კუთხე, მხარე“, 2. „ადგილი, სადაც თევზსაჭერ ჩხერებს (ფაცერს) უგებდნენ“.

მკვლევარის მოსაზრება სავსებით გასაზიარებელია ჩვენთვის საინტერესო ტოპონიმის (დამჩხერლო - დამჩხეულა) ასახსნელად. პროფ. გ. ყორანაშვილის მიხედვით, დამჩხეულას სახელწოდებაში ზანური ძირი - „და(ნ)ჩხერ“ უნდა ფიგურირებდეს.

ხალხში გავრცელებული ტრადიციით, დამჩხეულას ჩხრიალს უკავშირებენ.

1886 წლის აღწერით, აქ 28 კომლი სახლობს (93 კაცი და 93 ქალი, სულ 186 კაცი). მოსახლეობა ეროვნული შემადგენლობის მიხედვით მთლიანად ქართულია და გადმოსულები არიან დასავლეთ საქართველოდან – იმერეთიდან.

1925 წელს, აქ ცხოვრობდა 53 კომლი (ტაბატაძე (14), კურტანიძე (11), გოგოლაძე (11), ლომიძე (12), გორგაძე (2), წიქარიშვილი (1).

დამჩხეულაში სახლობენ გვარები: გოგალაძე, კურტანიძე, ლომიძე, ტაბატაძე.

აქ შემორჩენილია ტბეთის წმ. გიორგის ეკლესიის ნანგრევები. თარიღდება გვიანფეოდალური ხანით.

დაღალულა – ნასოფლარი, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, მდებარეობს დღევანდელი სოფლების – წრომისა და გომის შუა, მდ. მტკვრის აუზში, გომის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ვახუშტი ბატონიშვილს ორი დაღალულა აქვს დატანილი რუკაზე. იგი წერს: „ხოლო ფცის-წყლის დასავლეთით არს ალის-წყალი, გამოსდის ლიხის მთას, მოდის სამხრით, ერთვის მტკუარს ჩრდილოდამ. ამის შესართავთან არს დაღალულა“.

პროფ. ალ. ღლონტის აზრით, დაღალულა დღევანდელი სოფ. გომის ძველი სახელწოდებაა, რაც არასწორად მიგვაჩნია. დაღალულა და გომი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდნენ და ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე დაღალულასთან ერთად, თითქმის იმავე მიდამოებში დატანილი აქვს ორი გომი. შეიძლება, დავუშვათ ვარაუდი, რომ დაღალულა დღეს გომის შემადგენლობაში იყოს მოქცეული, მის აღმოსავლეთით მუხნარის (ისტორიული სურამის ჭალის შემორჩენილი ნაწილი) მიმდებარე ვრცელ ტერიტორიას დაღალულას მინდორს უწოდებენ. აქვეა კოშკის ნანგრევებიც.

ისტორიულ წყაროებში დაღალულას მინდორიც გვხვდება. ვახუშტი ბატონიშვილი ასე აგვიწერს მას: „...კუალად წრომის ჩდილოს, მტკურის კიდესა ზედა, არს დაღალულა მინდორი, და ნაშენი და ფრიად ნაყოფიერი. ზამთარ პირუტყუითა ბალახნი მოუკლებელი, და ფრინველითა სხუა და სხვათა სავსე, გარნა ზაფხულს გაუძლისი“..

დაღალულა, ამავე დროს, ვახუშტის მიხედვით, არის ისტორიული სურამის ჭალის საზღვარი: „... არს ჭალა სურამისა, მტკურის კიდესა, დაღალულადან შოლამდე“.

აქ ჭალის მსგავსიც არის: „გორიდამ დამჩხერალომდე ფლატოიანი და ჭალიანია, ვითარცა დაღალულა“.

დაღალულა გვხვდება 1701 წლის მოვლენებთან დაკავშირებით, როცა იმერეთის ტახტზე მამია გურიელი დასვეს. „ხოლო იმერეთს მოკლეს რა სვიმონ, აღუძნდა ესე ერეკლე მეფესა, ვინაითგან იყო წარვლინებული მის მიერ და შეკრებული ქართველ-კახთა სპითა მივიდა დაღალულასა შინა, რათა შურ-აგოს აბაშიძეს და მიუხუას ხეფინისხევი, რამეთუ შემდგომად გიორგი მეფის წარსლვისა მას ეპყრა. არამედ ვინაითგან იმერნი მტკიცედ დგნენ აბაშიძისად, ამისთვის განზრახვითა ყიასა ვეზირისა და ლუარსაბ სპასპეტისათა მოიქცა ტფილისადვე“.

იოანე ბატონიშვილი დაღალულას არ აფიქსირებს. როგორც ჩანს, მის დროს ეს სოფელი უკვე მოშლილია.

ხალხში გავრცელებული თქმულებით, თამარ მეფის ჯარი ბრძოლიდან რომ ბრუნდებოდა, მუხნარი უნახავთ, დაღლილებს აქ შეუსვენიათ და „დაღალულაც“ ამიტომ დაურქმევიათო.

მკვლევარ ვ. სიდამონიძის მიხედვით, დაღალულა მინდორი ძველთაგანვე ურწყავი იყო, ჰავა ზაფხულში – ცხელი, როგორც ვახუშტი ამბობს, გაუძლისი. აქ ზაფხულობით გვალვა იცის, ხალხის წარმოდგენით, ამ მინდორში, რადგან გვალვიანი და უწყლო იყო, მიწა გამოიფიტა, დაიღალა და მოსავალს იმდენს აღარ იძლეოდა, როგორც წინათ. ამიტომ ხალხმა ამ მინდორს სახელად „დაღალულა მინდორი“ უწოდა.

დაღალულა – ვნებითი გვარის ზმნაა, III სერიის I თურმეობითის, მხოლოდ დიალექტური „დაღალულ“ ფორმით გამოხატული.

დიდი ბეკამი – იხ. ბეკამი.

დიდი თხილნარა – იხ. თხილნარა.

დიდი სატივე – იხ. სატივე.

დიდი ფლევი – იხ. ფლევი.

დიდი ღუდა – იხ. ფლევი.

დიდი ყელეთი – იხ. ყელეთი.

დიდი ხავლეთი – იხ. ხავლეთი.

დიდი ხალები – იხ. ხალები.

დოფიძეების უბანი – იხ. ახალშენი

დუმაცხოვი – სოფელი, მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე მდ. ჭერათხევის (ალის ფრონე, ალის წყალი) მარცხენა მხარეს. შედის ალის სასოფლო საკრებულოში. ხაშურიდან დაშორებულია 24 კილომეტრით, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 12 კმ-ით. ზ.დ. 780 მ.

ქართულ საისტორიო მწერლობაში დუმაცხოვი გვხვდება **დუმაცხოს** ფორმით. ასე მოიხსენიებს XV საუკუნის დასაწყისში ქუცნა ამირეჯიბი თავის ცნობილ სიგელში. ამავე ფორმით აქვს დატანილი ვახუშტი ბატონიშვილს რუკაზე. ამასვე იმეორებს იოანე ბატონიშვილი. რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარშიც ასეა დაფიქსირებული.

ამრიგად, დღევანდელი დუმაცხოვის სახელწოდება **დუმაცხოა**. –ოვ სუფიქსი გვიანდელია და XIX საუკუნიდან უნდა გაჩენილიყო.

დუშეთის რაიონში, გუდამაყრის ხეობის ზემო ნაწილში, ბურსაჭირისა და ბოსლის ხევების შესაყარში, გვაქვს ანალოგიური სახელწოდების სოფელი **დუმაცხო**, რომელსაც მკვლევარი გ. ხორნაული ზანური (მეგრული) წარმოშობის ენობრივ ფაქტად მიიჩნევს და მას ერთ-ერთი უძველესი ღვთაების ჭანურ სახელწოდებას **ჯუმაჩხა**-ს უკავშირებს: „... სოფლის სახელწოდება **დუმაცხო** ძალზე ჰგავს ერთ-ერთი უძველესი ღვთაების ჭანურ სახელწოდებას – ჯუმაჩხა. ივ. ჯავახიშვილი იმოწმებს რა რ. ერისთავს, რომელსაც მოჰყავს ცნობა ხევსურთა ერთ-ერთი ღვთაების – „ჯიმაღის ჯვრის” შესახებ წერს: „შესაძლოა, ჯიმაღი ეთანასწორებოდეს იმ ღვთაების სახელს, რომლისთვისაც საქართველოში განკუთვნილი ყოფილა ოთხშაბათი: ოთხშაბათს მეგრულად „ჯუმაშხა”, ჭანურად „ჯუმაჩხა”, ხოლო სვანურად „ჯუმაშ”-ი ჰქვია. ს. ორბელიანის მოწმობის თანახმად, კი ოთხშაბათი ქართულად ირმის დღედ ითვლებოდა, ესე იგი, ჰერმესისა, ანუ მერკურის ღვთაებისათვის ყოფილა დაწესებული”.

ამ ორ სახელწოდებას შორის (დუმაცხო და ჯუმაჩხა) გარდამავალ საფეხურად შეიძლება, მივიჩნიოთ ბიბილიანში დადასტურებული ტოპონიმი დუმაჩხაური (ველის, სერის სახელი ფასანაურის თავზე). აქაც არის ძველი ნასოფლარები, ნიშები. ამ მხრივ, თუ ეს სარწმუნოა, ფონეტიკური სახესხვაობა დიდ სიძნელეებს არ ჰქმნის.. ჯ-ს დ-ში გადასვლა ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი ფაქტია (შდრ, მგრ. სინჯასს სინდა „სიძე”). ც-ს ჩ-სთან მონაცვლეობაც ცნობილი ფაქტია (ნაკვერცხალი // ნაკვერჩხალი)”.

დუმცოხოს შესახებ ასევე საინტერესოა მოსაზრებას გვთავაზობს მკვლევარი გ. ბედოშვილი. იგი ეხება რა გ. ხორნაულის მოსაზრებას, აღნიშნავს, რომ უფრო მართებული უნდა იყოს დუმაცხოს საკუთრივ ქათულ ენობრივ სამყაროში მოძიება. ხომ არ შეიძლება, დავუშვათ ამ ტოპონიმის მაცხოვარ– სიტყვასთან კავშირი? მართალია, ნათელი არაა პირველი ელემენტის (**დუ-**) მნიშვნელობა, მაგრამ მეორე ფუძის (**მაცხო-**) **მაცხოვარ**– სიტყვასთან გააზრება შეუძლებელი არ ჩანს, მითუმეტეს, რომ აქაური (მთიულეთ-გუდამაყრის - თ.ლ.) კილოსათვის ზოგი თეონიმის ფონეტიკურ ნიადაგზე ცვლა ნიშანდობლივი ფაქტია. საინტერესოა, რომ ხევსურული “ჟამისწირვის”ერთ ნიმუშში სიტყვა მაცხოვარი შეკვეცილი მაცხო ფორმით არის წარმოდგენილი. საინტერესოა იმის გახსენებაც, რომ გუდამაყრის ხეობის სოფ. ბურსაჭირს ადგილობრივ **მაცხუბანს** (მაცხოვრის უბანი?) უწოდებენ. ასევე შეცვლილია **თორმეწია** (მთიულ.) ნიშნავს: **მთავარმოწამე**. ძალაზე საგულისხმოა, რომ დუმაცხოს (ძუმაცხო?) („ფურების ხატი“, „ქალების ხატ“, „ძუძუს ხატი“?) ტერიტორიაზე ძალზე ბევრი ხატობებია დადასტურებული: **ზეგარდა, კვირე, მთავარანგელოზი, პირიმზე - ფუძის ანგელოზი, ხატი, ხთიშობელი, ჯორჩი(„ხატის ვაკე„)** და სხვ. შესაძლებელია დუმაცხო (ძუმაცხოვარი) ერთ-ერთი ასეთი სალოცავი იყო, რომელიც მოგვიანებით სოფლის სახელად ქცეულა.

გ. ბედოშვილი იმაზეც მიუთითებს, რომ „უთუოდ მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ვახუშტი ბატონიშვილი, აგრეთვე იოანე ბატონიშვილი იცნობენ სოფელ დუმაცხოს, ოღონდ მას ადასტურებენ არა მთიულეთ-გუდამაყარში, არამედ ცენტრალურ ქართლში, ალის წყალზედ მოსახლე სოფლებს, კერძოდ, ნაბახტევ-ბრილისა და ქინძათ-ბროლოსანს შორის. ასეთი რამ, ალბათ, მთიულების ქართლში ოდინდელი მიგრაციით უნდა აიხსნას“.

დუმაცხო//დუმაცხოვის სახელწოდების ზანურიდან წარმოშობის გ. ხორანაულის ვარიანტს ეთანხმება გ. ყორანაშვილი.

დუმაცხოვი, თავდაპირველად, ამირეჯიბების მამულია. ქუცნა ულუმბის ღვთისმშობლის განახლებულ ეკლესიას დუმაცხოვიდან ორ კომლ გლეხს სწირავს: „ორი კომლი დუმაცხოს“.

შემდგომში აქ ხერხეულიძეები გვხვდებიან.

1715 წლის რუისის დავთრის მიხედვით, დუმაცხოვში დაფიქსირებულია 26 კომლი (გონიერაშვილი (3), პაპუაშვილი, ჩირქინაშვილი (2), ჩაგელაშვილი, აღდგომელიშვილი (2), მაზნიშვილი, გივიაშვილი, გელაშვილი, დემეტრაშვილი, პაატაშვილი (2), ნინიაშვილი, იქაციძე, პაპიძე, კოხოლაძე, სამხარაძე, ბასილიძე (2), გორგობელიძე (2), კოპაძე (2).

1728 წელს დუმაცხოვში 38 კომლი ცხოვრობს, რომელიც იხდის საოსმალო გადასახადს 15710 ახჩის ოდენობით. აქ ყოფილა 2 თვალი წისქვილი, რომლის წლიური გადასახადია 240 ახჩა.

იოანე ბატონიშვილის მიხედვით, დუმაცხოვში მოსახლეობა არ ჩანს (XVIII ს-ის 90-იანი წლები).

1865 წლის აღწერით, დუმაცხოვში 11 კომლი გლეხი სახლობს (2 კომლი სახელმწიფო და 9 კომლი დროებით ვალდებული).

1886 წლის აღწერით, აქ, (სხვათაშორის აღწერაში „დუმაცხო“-ს ფორმით გვხვდება) 33 კომლი მოსახლეა (129 კაცი და 110 ქალი, სულ 239 კაცი), რომლებიც, ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართველები არიან.

აქ სახლობენ გვარები: ბერუაშვილი, გოგოლაძე, დვალიშვილი, მაისურაძე, მჭედლიძე, პაპუაშვილი, პატარიძე, შუბითიძე, ხაჩიძე, ხერხეულიძე, ხიდაშელი...

დუმაცხოვში მდებარეობს წმ. კვირიკეს ეკლესია, რომელიც დათარიღებულია IX–X საუკუნეებით.

(გაგრძელება IV გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

(გაგრძელება)

ვაკეპანტები – ნასოფლარი, მდებარეობს ორიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, შედის წრომის სასოფლო საკრებულოში.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები ვაკეპანტებს არ იცნობენ, არც ქართულ ისტორიულ და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში გვხვდება.

შედიოდა ისტორიულ საციციანოში.

1886 წლის აღწერით, აქ 4 კომლი მოსახლეა (19 კაცი და 29 ქალი, სულ 48 კაცი), ძირითადად ქართველები, რომლებიც დასავლეთ საქართველოდან – იმერეთიდან არიან გადმოსულები.

სახელწოდება სიტყვათშეერთებითაა მიღებული „ვაკე" და „პანტებ" ფუძეთა შეერთებით, –ებ მრავლობითი რიცხვის, ხოლო –ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია. ვაკე ს.ს. ორბელიანის განმარტებით არის „ქვეყანა ბრტყელი, ბრტყლად სწორე", პანტა კი „ტყის მსხალი".

ვაყა – სოფელი, მდებარეობს შიდა ქართლის ვაკეზე მდ. ჭერათხევის (ალის ფრონე, ალის წყალი) ნაპირზე, შედის გომის სასოფლო საკრებულოში. ხაშურიდან დაშორებულია 16 კილომეტრით, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 4 კმ-ით, ზ.დ. 670 მ.

ქართული საისტორიო მწერლობა იცნობს ვაყას. ხშირად გვხვდება ისტორიული და ეკონომიკური ხასიათის ძეგლებში, ვახუშტი ბატონიშვილი ალისწყლის ხეობის აღწერის დროს, მოიხსენიებს მას. ამავე ხეობის აღწერისას ვაყას, როგორც მოსახლე სოფელს, აფიქსირებს იოანე ბატონიშვილიც.

ვაყა ბეგთაბეგიშვილების მამულია. ისინი XVII საუკუნეში უკვე აქ არიან.

რუისის სამწყსოს 1715 წლის აღწერის დავთარში ვაყიდან 30 კომლი მოსახლეა შეტანილი (ნადირაშვილი (3), ზემბედაშვილი, კბილაშვილი, ზესელაშვილი, ქოთორაძე, მეგრელიშვილი, დალაქიშვილი, საყვარელაშვილი, დათუკაშვილი (2), იმერლიშვილი (2), ხუციშვილი, ტატიშვილი, ბანძუაშვილი, ხოტივრაშვილი, ყიფიანიშვილი, ბაბადაშვილი, მამუკაშვილი, ნაცვლიშვილი, ინანაშვილი, გაჩაგედაშვილი, მეხრიშვილი...)

სოფელი ვაყა 1728 წლისათვის ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია მოსახლეობის თვალსაზრისით. აქედან თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში 103 კომლია დაფიქსირებული. იხდის იგივე გადასახადებს, რასაც სხვა სოფლები. მეურნეობა წარმოდგენილია მემინდვრეობით, მევენახეობით, მესაქონლეობით და სხვა. აქ არის სამი თვალი წისქვილი წლიური გადასახადით - 360 ახჩა. მთლიანი გადასახადის რაოდენობაა 33300 ახჩა.

ვაყაში ქართულ მოსახლეობასთან ერთად ცხოვრობდნენ სომხები.

XVIII-XIX საუკუნეების მანძილზე, ისევე როგორც სხვაგან, აქაც არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული ქართველი მოსახლეობის გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასვლისა, რაც იწვევდა მათ „გასომხებას". ამიტომ არის აქ სომხური მოსახლეობის რიცხოვნობა დიდი.

XVIII საუკუნის მანძილზე, ისევე როგორც ალის ხეობის სხვა სოფლებმა, ვაყამაც განიცადა ლეკთა თავდასხმები. მაგალითად, 1754 წლის 29 დეკემბერს ლეკები ვაყას დაეცნენ და თორმეტი ტყვე წაიყვანეს.

1865 წლის აღწერით, აქ 68 კომლი მოსახლეა (14 კომლი სახელმწიფო, 2 საეკლესიო და 52 დროებით ვალდებული).

1886 წლის აღწერით, ვაყაში უკვე 122 კომლი მოსახლეა. აქედან ქართველია 33 კომლი (89 კაცი და 61 ქალი, სულ 150 კაცი), სომეხი 89 კომლი (317 კაცი და 281 ქალი, სულ598 კაცი). როგორც ვხედავთ, ვაყა ამ დროს ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი სოფელია მოსახლეობის მხრივ. პროფ. გ. ყორანაშვილი შესაძლებლად თვლ;ის ვაყა ზანური ენით აიხსნას (ორი - სამი წლის ცხენი, სოკო ვარყა//ვაყა).

ვაყაში სახლობენ გვარები: ბარათაშვილი, აკოფოვი, არუთინოვი, ბაბანასოვი, ბაღდასაროვი, გელაშვილი, გვარამაძე, გოგალაძე, გოგოლაძე, დაბრუნდაშვილი, ელბაქიძე, ივანიშვილი, კაპანაძე, კარაპეტოვი, კიპაროიძე, კუთხაშვილი, მამულაშვილი, მამულოვი, მაჭარაშვილი, მეზურნიშვილი, მელიქიშვილი, მელიქოვი, მეტრეველი, მექერიშვილი, მოსიაშვილი, ნადირაშვილი, ნადირაძე, ნეკერაშვილი, ნეფარიძე, ნინიაშვილი, ნოზაძე, ოგანოვი, ოსკანოვი, ოდეიშვილი, ოსიაევი, რუაძე, ტეფნაძე, ქიტიაშვილი, ქოქოევი, ღამბარაშვილი, ღვინიაშვილი, შერეზადიშვილი, ჩაჩანიძე, ჩინჩალაძე, ჩოჩნიძე, ხარაზიშვილი, ხარშილაძე, ხაჩიძე, ხვთისავარიშვილი, ხითარიშვილი, ხითაროვი, ჯავახიშვილი...

ვაყაში მდებარეობს მატერიალური კულტურის არაერთი საყურადღებო ძეგლი: დედაღვთისას ეკლესიის კომპლექსი (კოშკური ეკლესია, ეგვტერი, სათავდაცვო ნაგებობა, დარბაზული ეკლესია (XVI–XVII სს.), ღვთისმშობლისა და წმ. გიორგის ეკლესიები (ორივე გვიანფეოდალური ხანით თარიღდება).

ზედა ჭოშორა – იხ. ჭოშორა

ზეკოტა – სოფელი მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, შედის სურამის სადაბო საკრებულოში, ხაშურიდან დაშორებულია 7 კილომეტრით, სურამიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 3 კმ-ით, ზ.დ. 800 მ.

ქართულ საისტორიო მწერლობაში არ გვხვდება. მას ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები არ აფიქსირებენ. არც რუისის სამწყსოს აღწერის დავთარში გვხვდება.

1886 წლის აღწერით, აქ 17 კომლი მოსახლეა (64 კაცი და 87 ქალი, სულ 151 კაცი), ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, მთლიანად ქართველები არიან.

ზეკოტაში სახლობენ გვარები: ბლიაძე, გრიგალაშვილი, კობალაძე, მაზ
მიშვილი, რუსიშვილი, ტაბატაძე, შუბითიძე, ჩადუნელი, ხარაიშვილი, ხაჩიძე..

კოტას ასე განმარტავს საბა: უღლის რიკი, გინა ხმლის ხეტარი.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში კოტას რამდენიმე განმარტება ეძლევა : 1. კოტა ხის რიკი (კედელზე ან სვეტზე) რისამე ჩამოსაკიდებლად // იატაკისა და კედლის ფიცრებში ჩაყენებული რიკი ფიცრების ერთმანეთთან მჭიდროდ დასაკავშირებლად. გამჭოლი კოტა. 2. ურმის უღლის რიკი // ურმის ღერძის წინ და უკან ჩაყრილი ორი ჭინჭილაქი, სვლის დროს ღერძი რომ არ წაგორდეს. 3. ხე-ტარი ხმლისა. კოტა (გურ. იმერ) იგივეა რაც ტახტა. კოტა (გურ.) სიმინდის ტარო.

ზემო აძვისი – იხ. აძვისი.

ზემო ბაიანთხევი – იხ. ბაიანთხევი

ზემო ბროლოსანი – იხ. ბროლოსანი.

ზემო გომი – იხ. გომი

ზემო მიწობი – იხ. მიწობი

ზემო ოსიაური – იხ. ოსიაური

ზემო ფლევი – იხ. ფლევი

ზემო ჭალა – ადრინდელი სოფელი, ხაშურის ერთ-ერთი უბანი. მდებარეობს მის სამხრეთით. იწოდება ჭალისუბნადაც.

სახელწოდება ჭალა მომდინარეობს იმ ისტორიული ჭალიდან, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი სურამის ჭალას უწოდებს: „...არს ჭალა სურამისა, მტკუარის კიდესა, დაღალულიდამ შოლამდე".

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ კასპის რაიონში არსებობს სოფელი ქვემო ჭალა.

ვახუშტი ბატონიშვილი ზემო ჭალას არ იცნობს. იგი თავის „აწერაში" მის შესახებ არაფერს ამბობს და არც რუკაზე აქვს დატანილი. ასევე, არაფერს ამბობს ზემო ჭალის შესახებ იოანე ბატონიშვილი „აღწერაში", თუმცა „კალმასობაში" მის შესახებ საუბრობს.

1711 წლის 10 მაისს, ქაიხოსრო მეფე ვახუშტი აბაშიძეს ქართლში სხვა მამულებთან ერთად აძლევს „...ჭალაზედ სახასო მიწებს".

ერთ-ერთი პირველი ისტორიული დოკუმენტი, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო სოფელი გვხვდება, არის რუისის სამწყსოს 1715 წლის დავთარი. მასში ზემო ჭალიდან შეტანილია 11 კომლი გლეხი (ბლიაძე, კიკაძე, აიშაშვილი, ქადაგიშვილი, ხმალაძე, ჩადუნელი, კახი(შვილი), კვამლაძე, იორდანაშვილი, ხარშილაძე, ფრცელი).

როგორც ირკვევა, აბაშიძეებთან ერთად ჭალაზე მამულებს იტრიელი ჩხეიძეებიც ფლობენ. 1751 წელს, როსტომ და დავით ჩხეიძეები აბაშიძეებს აძლევენ ჭალას: „... მოგყიდეთ ხემწიფის წყალობა – მამული ჭალა,– ზეით ცხოროსმუხის (უნდა იყოს ცხრამუხა - თ.ლ) სირონამდის (საზღვრამდე - თ.ლ.), ქვეით ქვედა ჭალის სირონამდი, იქეთ ბოტკებამდი, კიდევ ზეით, გვერდოზედ ბოლოკაძის მიწის მიდგმამდი".

1747-1759 წლებით დათარიღებულ მერალიბეგ ციციშვილის არზში ნათქვამია, რომ „ის კაცი... აბაშიძის მამულში სურამის ბოლოს ჭალას სახლობს".

XVIII საუკუნის 50-იანი წლების შემდეგ ზემო ჭალაში საბოლოოდ მკვიდრდებიან ქვიშხეთელი აბაშიძეების განაყოფები, რომლებიც აქ XX საუკუნის 20-იან წლებამდე არიან.

XVIII საუკუნის ბოლო ათწლეულში, ზემო ჭალა ტყვეთა სყიდვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტსაც წარმოადგენდა, რასაც აქაური აბაშიძეები ეწეოდნენ. ამის შესახებ მოგვითხრობს იოანე ბატონიშვილი თავის „კალმასობაში".

სოფელ ზემო ჭალასთან დაკავშირებულია რამდენიმე ეპიზოდი XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოს ისტორიიდან. ეს ეპიზოდები ლეკიანობას ეხება. კერძოდ, 1783 წელს, აქ, რუსთა და ქართველთა მიერ დამარცხებულ იქნა ლეკთა 2000-იანი ლაშქარი. 1785 წლის ნოემბერში, აქ დაბანაკებული იყო რუს-ქართველთა ჯარის ნაწილები, რომელიც ლეკებთან ბრძოლით იყო დაკავებული.

1865 წელს, ზემო ჭალაში 58 კომლი მოსახლეა, აქედან სახაზინოა 8, საეკლესიო 3 და დროებით ვალდებული 47.

1886 წლის აღწერით, კი აქ 143 კომლი მოსახლეა (446 კაცი და 364 ქალი, სულ 810 კაცი). ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მოსახლეობა მთლიანად ქართულია (მხოლოდ ერთია სომეხი).

ამავე პერიოდში არსებობს ჭალის სასოფლო საზოგადოება, რომელშიც ზემო ჭალის გარდა შედის ხაშური და ცხრამუხა.

სახელწოდება ზემო ჭალა სიტყვათშეერთებით არის მიღებული. მსაზღვრელი – ზემო, ზმნიზედაა, ხოლო საზღვრული – ჭალა, საზოგადო არსებითი სახელია. ასევე, სიტყვათშეერთებით არის მიღებული დღევანდელი სახელწოდება – ჭალისუბანი, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ აქ მსაზღვრელიც (ჭალა) და საზღვრულიც (უბანი), ორივე საზოგადო არსებითი სახელები არიან.

ჭალა ს.ს. ორბელიანის მიხედვით არის „წყლის პირი ნაყოფიერი".

ზემო ჭალაში მდებარეობს წმ. ნიკოლოზის ეკლესია, რომელიც XIX საუკუნის 70-იანი წლებით თარიღდება. აქვე იყო მრგვალი კოშკი, რომელმაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია და დღეს მხოლოდ საძირკველი შეიმჩნევა. ეს ყველაფერი მდებარეობდა აბაშიძეების სასახლესთან ახლოს, რომელიც აღარ არსებობს.

ზემო წრომი – იხ. წრომი

ზინდისი – ადრინდელი სოფელი, სურამის ერთ-ერთი უბანი, მდებარეობს მის ჩრდილო-დასავლეთით.

ივ. ჯავახიშვილის ყურადღება მიიქცია 1867 წელს აქ შემთხვევით აღმოჩენილმა საბრძოლო იარაღის ერთ-ერთმა სახეობამ – ბრინჯაოს კოტიონმა ანუ ხეტარიანმა მახვილმა, რომელიც ბრინჯაოს მსხვილ კოტას წარმოადგენს და მახვილი პირის მხოლოდ ნაწილიღა აქვს შერჩენილი.

დოროთეოზ კათალიკოსის იტრიის ეკლესიისადმი შეწირულობის სიგელში (XVI ს. 80-იანი წლები) მოხსენიებულია ზინდისი, რომელიც დოროთეოზს გიორგი IX-ისაგან (1525-1527 წ.წ.) შეუძენია. დოროთეოზი ზინდისს და იქ მოსახლე გლეხებს სწირავს იტრიის ღვთისმშობლის ახლადაშენებულ ეკლესიას: ,კიდევ შევსწირე ზინდისი, გიორგი მეფისაგან მოსყიდული ძვირფასად, იჩქიტიძე მახარებელი, ისპანა და მისი შვილებითა და შიო და მისი შვილი გიორგი, ჟამისაძე და ჩინჩალაძე, მისით მიწა-წყლითა, წისქუილითა და სამართლიანის მზღვრითა".

1584 წელს, სიმონ მეფის შვილი გიორგი ბატონიშვილი, იტრიის ეკლესიისადმი შეწირულობის თავის სიგელში, აფიქსირებს გიორგი IX-ისგან დოროთეოზის მიერ ნაყიდ სოფელ ზინდისს და იქ მოსახლე გლეხებს, რაზეც ზემოთაც იყო საუბარი.

შემდგომში ზინდისი აბაზაძეების მამულია.

1715 წლის რუისის სამწყსოს აღწერის დავთრის მიხედვით, აქ 6 კომლი მოსახლეა (აბაზაძე (3), ღაღანიძე, ნარიმანაშვილი, ლუქუნიძე).

1865 წლის აღწერით, ზინდისში 10 კომლი დროებით ვალდებული გლეხი სახლობს.

ზინდისი ქუთაისის, თბილისის, ნინისის, ურბნისის მსგავსადაა ნაწარმოები.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ახალგაზრდა ხელოვანი -

გიორგი ლაფაჩი: - ძალიან მიხარია, როდესაც ადამიანებს ჩემი ნამუშევრით სიამოვნებას ვანიჭებ, ესაა ჩემთვის ყველაზე კარგი განცდა...

გიორგი ლაფაჩი 18 წლისაა, მეხუთე თვეა ხაშურის მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში ცხოვრობს, სკოლაში დადის და მომავალის იმედებს სახავს. წარმოშობით ერგნეთიდანაა, მარტო ცხოვრობდა სახლში, სადაც კედლებს დღესაც ომის კვალი ეტყობა, კარგად ახსოვს ის მძიმე პერიოდიც. ადვილი არ ყოფილა, მამისეული სახლი დაეტოვებინა, ურჩიეს, რომ მისი მომავლისთვის, ჯობდა დროებით მცირე საოჯახო ტიპის სახლში

ეცხოვრა, სადაც იმ უნარების განვითარებას შეძლებდა, რომელზეც მთელ თავის მომავალს აკავშირებს. გიორგი ბავშვობიდან ხატავს, კულინარია აინტერესებს და საოცარი წარმოსახვის წყალობით, ბევრ საინტერესო ნამუშევარს ქმნის. როდესაც გიორგის ვესტუმრე, მოლბერტთან იდგა და ნახატზე ბოლო შტრიხებს ამატებდა. მისი ოთახი ისეთივე ფერადი და შემოქმედებითია, როგორიც გიორგის შინაგანი სამყაროა.

- გიორგი, მომიყევი შენზე, ოჯახზე, ბავშვობაზე, რამდენადაც ამის სურვილი გექნება...

–ჩემი სახლი ერგნეთშია, კარგად მახსოვს ის პერიოდი, რომელიც დღემდე რთული გასახსენებელია. მამა ჩემს დაბადებამდე გარდაიცვალა. დედა და ბაბუა მზრდიდნენ. დედას ახლა თავისი ოჯახი აქვს, ბაბუაც გარდაიცვალა, ხუთი თვეა აქ ვცხოვრობ. მანამდე ბევრი საცხოვრებელის და სკოლის გამოცვლა მიწევდა, რამაც ძალიან იმოქმედა იმაზე, რომ კარგი განათლება მიმეღო. ჩემს თავს ახლა მხატვრობაში ვხედავ.

- როგორ მოხდა შენი მხატვრობით დაინტერესება? ვიცი, რომ სხვა ინტერესებიც გაქვს...

–ერთი მეზობელი მყავდა მხატვარი, როდესაც ვუყურებდი, ინტერესი გამიჩნდა, თავიდან არ ვიყავი კმაყოფილი საკუთარი თავით, მერე ნელ-ნელა დავხვეწე ტექნიკა. ამის შემდეგ,ჩვენ სოფელში, ახალგაზრდულ ბანაკში მოვხვდი, სადაც უფრო ბევრი რამე ვისწავლე და ჩემი საქმიანობა მრავალფეროვანიც გახდა. აღმოვაჩინე საკუთარ თავში ისეთი შესაძლებლობები, რომლებმაც მეტი სტიმული გამიჩინა.კონკრეტული მიმართულება არ მაქვს მხატვრობაში, ვხატავ ყველაფერს, რისი შთაგონებაც მაქვს. გარდა ხატვის გაკვეთილებისა, ვცდილობ საკუთარი განვითარებისთვის, მხატვრობაზე დამატებითი განათლებაც მივიღო ინტერნეტიდან. ყოველთვის არ შემიძლია ხატვა, ამისთვის განწყობა და შთაგონება მჭირდება.ზოგი ნახატი ძალიან ძველია, როდის გავაკეთე, არც კი მახსოვს ხოლმე.

- ხელნაკეთი ნივთების გაკეთება როდის დაიწყე?

–გარდა ხატვისა, ხელით ვაკეთებ ნივთებს მეორადი მასალისგან, მუყაოსგან, კანფეტის ქაღალდებისგან, მასალად ვიყენებ ყველაფერს, რისი დამუშავებაც შეიძლება. ძირითადად დეკორატიული ნივთებია. ყველას ძალიან მოწონს, რაც მეც ძალიან მახარებს. რადგან ამაში მთელ ჩემ ფანტაზიას და ემოციას ვდებ. როდესაც ამას ხედავენ და გრძნობენ, ძალიან ბედნიერი ვარ.

- კულინარიით შენს გატაცებაზე მომიყევი. დღემდე მიჭირს დაჯერება, რომ ნამცხვარი, რომელზეც დამპატიჟეს, შენი ექსპრომტად გაკეთებული იყო...

–როგორც დედა მიყვებოდა,მამა კარგი მზარეული ყოფილა,მეც დამაინტერესა ამ საქმემ,თან კარგად გამომდიოდა,ინტერნეტიდანაც ავიღე რამდენიმე რეცეპტი და ჩემებური ინტერპრეტაციაც გავაკეთე, მაქვს ჩემი საფირმო კერძებიც. აქ რომ მოვედი, როდესაც ინტერესებზე მკითხეს, კულინარია დავასახელე და მგონი, მართლა კარგად გამომივიდა.

- როგორია შენი ერთი დღე?

–როგორც ყველა ჩემი ასაკის ბიჭი,ისე ვცხოვრობ,დილით სკოლაში დავდივარ, კვირაში ორ დღეს ხატვის გაკვეთილებს ვუთმობ. ახლა ტილოზე ხატვაც დავიწყე, მეორე ნახატს ვასრულებ და როგორც მასწავლებელი მეუბნება, კარგად გამომდის.

- შენი ნამუშევრების რეალიზებაზე არ გიფიქრია?

–ჯერ გაყიდვაზე არ მიფიქრია, ჩემი ნაკეთობების დიდი ნაწილი სასაჩუქრეა. ძალიან მიხარია, როდესაც ადამიანებს ჩემი ნამუშევრით სიამოვნებას ვანიჭებ, ესაა ჩემთვის ყველაზე კარგი განცდა.

- ინსპირაციას რა გაძლევს?

–თავიდან შეიძლება სხვა რადაც დავიწყო და სხვა გამოვიდეს. ვცდილობ, მარტივი გასაკეთებელი იყოს, ნაკლები მასალა დაჭირდეს, ბევრი ისეთი ნივთი გავაკეთე, რომელიც დიდ ძალისხმევას და შრომას მოითხოვდა. რაც ვცადე, პირველ ჯერზე თუ არა, მეორედ უკეთესი გამომდის. ბევრმა ამბავმა შეიძლება მიიქციოს ჩემი ყურადღება, რაც მერე შთაგონებად იქცეს. ხატვისთვის, ამ ეტაპზე, ყველაფერი მაქვს, მოლბერტი, სახატავი საშუალებები, კომპიუტერი სალომე ბაკურაძემ მაჩუქა, რამაც გამიადვილა შრომის პროცესი და მეტი სტიმული მომცა მუშაობისთვის.

- რაზე ოცნებობს გიორგი, სად ხედავს თავის თავს?

– ჩემი ოცნებები, ჩემი მომავალია. ვფიქრობ, ის ვაკეთო, რა საქმეც გამომდის. ძალიან მინდა პროფესიული მზარეული გამოვიდე და პარალელურად, ვხატო კიდეც. ხატვის მასწავლებელმა, სამომავლოდ გამოფენის მოწყობა შემომთავაზა. მინდა ჩემი მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც მცირე წვლილი მაინც შეიტანა ჩემი ცხოვრების შეცვლაში,ვინც ხელი შემიწყო,მეხატა,მესწავლა ბევრი რამ. მადლობა ჩემი ხატვის მასწავლებელს, ამ სახლის აღმზრდელებს, რომლებიც ოჯახურ გარემოს მიქმნიან, რაც ჩემთვის, ძალიან მნიშვნელოვანია.

გიორგი საოცარი ბიჭია, მშვიდი, ფერადი, ჯერ კიდევ ბავშვური ბუნების. მისი ფიქრები ერგნეთს დასტიალებს, სახლს, რომელიც ბევრ ტყვიას და მის განცდას ინახავს. სკოლის დამთავრების შემდეგ, შეიძლება მამისეულ სახლში მოუწიოს დაბრუნება, სადაც მისი ემოციური ბავშვობა და ცარიელი სახლი ელოდება.

თ. ჯავახიშვილი

დაათვალიერეს ბიჯნისის წყლის სათავე-ნაგებობის მშენებლობა

ხაშურის მუნიციპალიტეტში ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის და ქსელის რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტი აქტიურად მიმდინარეობს.

ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობა სავალალო მდგომარეობაში იყო. წყალი გაუფილტრავად და წყვეტილ რეჟიმში მიეწოდებოდა მოსახლეობას.

პროექტის განხორციელების შემდეგ, მნიშვნელოვნად შეიცვლება არსებული სიტუაცია. მდინარე ბიჯნისულას ხევში,ჰორიზონტალური სალექარების სახით, ახალი სათავე-ნაგებობა მოეწყობა, აქედან წყალი გადავა ულტრაფილტრაციის კომპლექსის შენობაში და გაივლის საბოლოო გაწმენდის პროცესს. გაფილტრული წყალი,დეზინფექციის შემდეგ,გადაიქაჩება სუფთა წყლის რეზერვუარში და იქიდან მიეწოდება აბონენტებს.

„მიმდინარე პროექტით 3 000 -ზე მეტი ბენეფიციარი ისარგებლებს, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს მათ საყოფაცხოვრებო პირობებს. ოჯახებს წყალმომარაგება 24 საათიანი რეჟიმით ექნება.

პროექტი გარდამავალია. საწყის ეტაპზე გაკეთდება სათავე და რეზერვუარი, შემდეგ კი მოხდება ქსელის მოწყობა. პროექტის განხორციელების შედეგად, დაბა სურამში, ჩუმათელეთისა და იტრიის უბნებსა და მიმდებარე სოფლებში, ხარისხიანი წყალმომარაგების მეტად მტკივნეული პრობლემა საბოლოოდ მოგვარდება. “-აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა სოფელ ბიჯნისში წყლის სათავე ნაგებობის, მაგისტრალის, რეზერვუარისა და დასახლებების ჯგუფური მიწოდების სისტემების მოწყობის სამუშაოების დათვალიერებისას.

მერთან ერთად, ადგილზე იმყოფებოდა მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი, რომელიც მიმდინარე პროცესებს აკვირდებოდა.

პროექტი გარდამავალია, ექსპლუატაციაში 2020 წელს შევა, მიმდინარე წელს კი გათვალისწინებულია სათავე-ნაგებობის რეაბილიტაციის დასრულება.

პროექტის ჯამური ღირებულება 1248 991 ლარს შეადგენს და ადგილობრივი ბიუჯეტისა და სახელმწიფო სახსრების თანადაფინანსებით ხორციელდება.

ღუკა, გენაცვაღე, ჩვენი სიამაყე ხარ!

სულ გუშინ იყო, ლუკა მაისურაძეზე რომ ვწერდით, ძალიან პერსპექტიული ჭაბუკი გვეზრდება და მისგან ბევრს ველითო... ასე აგიხდეთ ყველაფერი! ჭაბუკობაში ხომ მიფანტ-მოფანტა ყველა, მერე ახალგაზრდულ ჩემპიონატებში -ევროპაზე თუ მსოფლიოზე – აჩვენა კლასი და ახლა, ისე უცბად დაიქუხა დიდებში, რომ 81 კილოგრამში – შეაზანზარა იქაურობა. ორიოდე თვის უკან, ეკატერინბურგში, ისე ლამაზად მოიგო გრან-პრი, თქვენი მოწონებული, ახლა კი თურქეთში, ანტალიაში, ვინც კი წინ დაუდგა, ყველას ბეჭებს მოაკითხვინა ტატამი და ისე ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, ეჭვის მცირე საბაბიც არ მიუცია არავისთვის. გახსოვთ ცნობილი გამოთქმა – ტყვიას ტყვიაში სვამსო?... ლუკაზე შეიძლება ითქვას – გრან-პრის გრან-პრიში სვამს და თვალსაც არ ახამხამებს... უკვე მსოფლიოს ყველა ძიუდოისტი, ვინც კი 81 კილოგრამში ასპარეზობს, შიშით უყურებენ და აქვთ კიდეც საბაბი. ყველაფერ სიკეთესთან ერთად, ლუკას ჭიდაობის საოცრად ლამაზი მანერა აქვს და ისეთ ილეთებს აკეთებს, ყველაფრისმნახველი ძველი ძიუდოისტებიც კი აღფრთოვანებულები არიან. ამ ბოლო გრან-პრიზე, განსაკუთრებით, რუს ოლიმპიურ ჩემპიონთან გამარჯვებით ვისიამოვნე – გოდორივით რომ მოიგდო ზურგზე და ტატამი ახეხინა. აუ, რა გაკვირვებული თვალები ჰქონდა რუსეთის ჯილას, როგორი დაჯერებული გამოვიდა ვიღაც „ბავშვთან" საჭიდაოდ და რაც დამართა მერე იმ „ბავშვმა" წავიდეს და მოსკოვს მოუყვეს.

წინ ევროპა და მსოფლიოა. ჩვენი სასპორტო სკოლის აღზრდილი ბიჭი (მწვრთნელი ბუხუტი ბუხრიკიძე) ვიცით, იქაც გვასახელებს და მერე უკვე ოლიმპიადაზეც ვიფიქროთ, რომლის დაწყებამდეც 15 თვედა დარჩა. ხაშურს ოლიმპიური პრიზიორი კი გყავს, მაგრამ ვითომ ოლიმპიური ჩემპიონი გვაწყენდა? ლუკას ასეთი საოცარი პროგრესის ფონზე, არ გვგონია ეს წარმოუდგენელი ოცნება იყოს. ასე, რომ მიზანიც არის და ლუკაც გვყავს!

გოგი გოგოლაძე

- ქართული ჭიდაობა -

ექვსი ოქრო ხელვაჩაურიდან

6-7 აპრილს, ხელვაჩაურში, ჩატარდა, აჭარის ეროვნული ქართული ჭიდაობის ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებლის და პირველი პრეზიდენტის, დღეს ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტის

პაატა ურიადმყოფელის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. სხვათაშორის, პაატა ურიადმყოფელი წარმოშობით ჩვენი მუნიციპალიტეტიდან, სოფელ ოსიაურიდანაა. აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობდა ჩვენი კომლექსური სასპორტო სკოლის გუნდიც. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების – ბუხუტი ბუხრიკიძის და მალხაზ ნოზაძის მიერ მომზადებულმა სპორტსმენებმა მართლაც ფურორი მოახდინეს ამ ტურნირზე და ხელვაჩაურიდან ექვსი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი ჩამოიტანეს. ჩემპიონები გახდნენ: გიორგი გოგალაძე (40კგ.), ლუკა ხარატიშვილი (45კგ.), გიორგი ნოზაძე (50კგ.), ალეკო ტუსიაშვილი (55კგ.), ბესო ნოზაძე (45კგ.), ჯემალ ბეჟანიშვილი (65კგ.). ვერცხლის მედლები კი ნიკა გოგოლაძემ (60კგ.), და რამაზ მჭედლიძემ (+70კგ.). მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ ტურნირის ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის სპეციალური პრიზიც ხაშურში გამოემგზავრა და მისი მფლობელი ალეკო ტუსიაშვილი გახდა.

მართლაც საოცარი შედეგია, რაც აღინიშნა კიდეც საზეიმო დაჯილდოებისას, სადაც ხაზი გაესვა, რომ ხაშურის ჭიდაობის სკოლა კვლავ აგრძელებს თავის ტრადიციებს და დღესაც ერთ-ერთი მოწინავე პოზიციაზეა ქვეყნის მასშტაბით.

ვულოცავთ ამ ბიჭებს, ვულოცავთ მათ მწვრთნელებს და მათგან გულშემატკივრები კიდევ მრავალ წარმატებას ველით.

-ჯალათბურთი -

კემპი ცნობილი მწვრთნელის მონაწილეობით

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის, ასაკობრივი ნაკრებების დეპარტამენტისა და მწვრთნელთა კავშირის ორგანიზებით, ნოემბრის თვეში დაწყებული "რეგიონებში კალათბურთის განვითარების პროგრამა" შიდა ქართლში გაგრძელდა. პროგრამის მიზანი მწვრთნელთა დონის ამაღლება, მათ მუშაობასა და წვრთნის პროცესში თანამედროვე მიდგომების დანერგვაა და იგი კალათბურთის რეგიონულ ფედერაციებთან თანამშრომლობით ხორციელდება.

პროგრამა გასული წლის შემოდგომაზე, ქვემო ქართლიდან დაიწყო, კახეთში გაგრძელდა, ხოლო გასულ კვირას კემპს ხაშურის ახალგახსნილმა სპორტკომპლექსმა უმასპინძლა. საქართველოს ეროვნული და 20-წლამდელთა ნაკრებების მწვრთნელმა, სერბმა სპეციალისტმა მილოშ გლიგორიევიჩმა ხაშურში საკალათბურთო კემპი ჩაატარა. გლიგორიევიჩი გახლავთ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მიერ მოწვეული სერბი მწვრთნელი, რომელიც მეოთხე წელია, საქართველოშია და როგორც ეროვნულ ნაკრებს, ისე ასაკობრივ ნაკრებებს ახმარს საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას. ხაშურში გამართულ კემპს დაესწრნენ მისი ორგანიზატორები, ასაკობრივი ნაკრებების მენეჯერი შალვა ონიანი და შიდა ქართლის კალათბურთის განვითარების ცენტრის ხელმძღვანელები.

კემპში მონაწილეობა მიიღეს ხაშურის, გორის და კასპის 2004-დან 2009 წლამდე დაბადებულმა მოზარდმა და ამ ქალაქების კალათბურთის მწვრთნელებმა. კემპში, დაახლოებით, 120 მოზარდი ჩაერთო. პროგრამის მიზანია, ერთის მხრივ სასელექციო მუშაობის განხორციელება და პერსპექტიული კალათბურთელების აღმოჩენა, მეორეს მხრივ – ადგილობრივი მწვრთნელებისთვის საკალათბურთო ვარჯიშების სწორედ დაგეგმარების პრეზენტაცია, მოზარდებთან მუშაობის თავისებურებების ჩვენება. კემპზე დამსწრე მწვრთნელებს, თეორიულ მეცადინეობებთან ერთად, ჩაუტარდათ მილოშ გლიგორიევიჩის თემატური სემინარი, სადაც მათთვის საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხები მიიღეს.

საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაცია მზადაა, ამ კუთხით, რეგიონულ ფედერაციებთან ერთად, ნებისმიერ საკალათბურთო სკოლასთან ითანამშრომლოს და დაინტერესების შემთხვევაში, მათთან, კალათბურთის განვითარების პროგრამის ფარგლებში, კომპეტენტური სპეციალისტები მიავლინოს.

ანონსი

21 აპრილს, კვირას, ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლაში, გაიმართება შიდა ქართლის ღია ჩემპიონატი ტაეკვონდოში ჭაბუკთა შორის.

ტურნირი 10 საათზე დიწყება. დასწრება თავისუფალია.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.